0001126719733132

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

30 ოქტომბერი, 2019 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობა
თავმჯდომარე - გელა ბადრიაშვილი
მოსამართლეები: ანა გოგიშვილი, ხათუნა არევაძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე
საჩივრის ავტორი - [redacted]
წარმომადგენელი - გურამ კონტუაძე
მოწინააღმდეგე მხარე - სს ,,მისო ევრო კრედიტი"
გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას" 2019 წლის 22 აგვისტოს N001/54-19 გადაწყვეტილება
დავის საგანი - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

პ ა ლ ა ტ ა მ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას" 2019 წლის 22 აგვისტოს N001/54-19 გადაწყვეტილებით:

1. სს ,,მისო ევრო კრედიტის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. საარბიტრაჟო მოპასუხეებს – [redacted] და [redacted] სს „მისო ევრო კრედიტის" (ს/კ 404919102) სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სესხის ძირი თანხის – 13 865 (ცამეტი ათას რვაას სამოცდახუთი ლარი) ლარის გადახდა.
3. საარბიტრაჟო მოპასუხეებს – [redacted] და [redacted] სს „მისო ევრო კრედიტის" (ს/კ 404919102) სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სესხზე დარიცხული სარგებლის – 1 796.28 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 28 თეთრი) ლარის გადახდა.
4. საარბიტრაჟო მოპასუხეებს – [redacted] და [redacted] სს „მისო ევრო კრედიტის" (ს/კ 404919102) სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ პირგასამტეხლოს 535. 60 (ხუთას ოცდათხუთმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარის გადახდა.
5. საარბიტრაჟო მოპასუხეებს – [redacted] და [redacted] სს „მისო ევრო კრედიტის" (ს/კ 404919102) სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ

გაწეული საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხის გადახდა – 366.78 (სამას სამოცდაექვსი ლარი და 78 თეთრი) ლარის ოდენობით.
6. [redacted] პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა – 40 500 (ორმოცი ათას ხუთასი ლარი) ლარით.

2019 წლის 26 სექტემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საჩივრით მომართა [redacted] და მოითხოვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას" 2019 წლის 22 აგვისტოს N001/54-19 გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

გრიგოლ [redacted] მიხეილ [redacted] თავდებობა იკისრა მხოლოდ ძირითადი ხელშეკრულების შესრულების ნაწილში. შესაბამისად, გრიგოლ [redacted] აღარ წარმოადგენდა მოპასუხეს, ვინაიდან მან ვალდებულება იკისრა კონკრეტულად N RLE18009633 ხელშეკრულების საფუძველზე და არა ახალი ხელშეკრულების მიმართ, რომელიც დაიდო 2018 წლის 23 აგვისტოს. ვინაიდან თავდებობდა წარმოადგენს აქცესორულ უფლებას, თუ არ არსებობს ძირითადი ვალდებულება, არ არსებობს თავდებობაც, შესაბამისად, სს ,,მისო ევრო კრედიტმა" და მიხეილ [redacted] გააფორმეს რა ახალი ხელშეკრულება და მასზე გაიცა ახალი სესხი, წარმოიშვა ახალი ვალდებულება, რის გამოც, ძველი ვალდებულება ითვლება შესრულებულად, ხოლო, თავდებობა შეუძლებელია გადაყვეს ახალ სესხს. ამასთან, პირველი ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მხარეებს შორის, უზრუნველყოფილი იყო მიხეილ [redacted] საკუთრებაში არსებული ავტომობილით. ბუნდოვანია, რატომ არ მოხდა აღსრულება გირავნობის საგანზე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება უნდა მოხდეს ზემოაღნშნული მიზეზით, ვინაიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, თუმცა, გარდა ამისა, არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა იმის გამოც, რომ მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგავარად არ მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესი და ამასთან, არბიტრაჟს არ გააჩნდა კომპეტენცია განეხილა დავა.

სააპელაციო პალატამ განხილა საჩივარი და თანდართული მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[12] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[13] მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[24] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.

არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი ადგენს იმ პირობებს, რომელთა არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ.ბ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

პალატა იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 2018 წლის 23 აგვისტოს საკრედიტო ვალდებულების რესტურუქტურიზაციის შესახებ #DLE18016679 ხელშეკრულების დადებით, სს ,,მისო ევრო კრედიტის“ მიმართ შეწყდა მისი, როგორც სოლიდარული მოვალის პასუხისმგებლობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის პირველი ნაწილით, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის მიხედვით, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ არის დადგენილი, რომ 2018 წლის 28 აპრილის სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებით, თავდებმა - გრიგოლ [redacted] სოლიდარულად იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის მიერ ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, როგორც სესხის ძირ თანხაზე, ისე სარგებლის, პირგასამტეხლოსა და სხვა დამატებითი ხარჯების ნაწილზე.

უდავოდ არის დადგენილი, ასევე, რომ 2018 წლის 23 აგვისტოს, საკრედიტო ვალდებულების რესტურუქტურიზაციის შესახებ #DLE18016679 ხელშეკრულებით, მსესხებელი მიხეილ [redacted] ადასტურებს, რომ სს „მისო ევრო კრედიტის" მიმართ გააჩნია დავალიანება 13 865 ლარის ოდენობით და მანვე იკისრა ვალდებულება, გადაეხადა ხელშეკრულებაზე თანდართული გადახდის გრაფიკის შესაბამისად სესხზე წლიური 30.054%-ის ოდენობით სარგებლის დარიცხვის პირობით.

პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის 2018 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სესხის რესტრუქტურიზაციის შედეგად, 2018 წლის 23 აგვისტოს, მოხდა ახალი შეთანხმების დადება ახალი პირობებით, რაც დადასტურებულია სს „მისო ევრო კრედიტისა" და მიხეილ [redacted] მიერ სათანადო ნების გამოხატვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა ურთიერთობის მიზნებისათვის, სესხის რესტრუქტურიზაცია მოხდა 2018 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში, ვინაიდან მხარეთა შორის მოხდა შეთანხმება არსებით პირობებზე, 2018 წლის 23 აგვისტოს რესტურუქტურიზაციის შესახებ DLE18016679 ხელშეკრულება განხილული უნდა იქნას ახალ ხელშეკრულებად, რაზედაც, ცხადია, ვერ გავრცელდება თავდაპირველი ხელშეკრულების ფარგლებში დადებული სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულების პირობები. პალატის შეფასებით, 2018 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გრიგოლ [redacted] იკისრა თავდებობის ვალდებულება მიხეილ [redacted] სასესხო ვალდებულების მიმართ, არ ვრცელდება მიხეილ [redacted] მიერ ნაკისრ ახალ ვალდებულებებზე. ამასთან, პალატა ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული თავდებობის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმადაც თავდები თანახმაა, რომ მესამე პირის მიერ გენერალური ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული საკრედიტო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორმა იძულებითი აღსრულება მიმართოს თავდების იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს. მოცემულ შემთხვევაში, რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება ვერ განიხილება გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულებად, მიუხედავად აღნიშნული ხელშეკრულების 44-ე პუნქტისა, რომლის თანახმადაც, წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის 2018 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. პალატა დამატებით განმარტავს, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ზემოაღნიშნული DLE18016679 ხელშეკრულებით მხარეთა შორის მოხდა ახალი პირობების გათვალისწინება, მოცემული დავის მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს ამ ხელშეკრულების ახალ ხელშეკრულებად მიჩნევის წინაპირობა იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება მოიცავს მოვალისათვის ხელშეკრულების ახალი პირობების შეთავაზებას და ის ცვლის პირვანდელ ხელშეკრულებას მთლიანად. სხვა შემთხვევაში იარსებებდა ორივე ხელშეკრულება, რომლებიც ერთმანეთის შემადგენელი იქნებოდა.

პალატა მიუთითებს, რომ ნებისმიერი დავის გადაწყვეტისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და მონაწილეთა ინტერესების დაცვის პრინციპით. სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევაა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ [სსკ-ის 8.3 მუხლი]. „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები" [სსკ-ის 10-ე მუხლის მესამე ნაწილი]. შესაბამისად, მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარეა და უდავოა, რომ სწორედ მის მიერ იქნა განსაზღვრული ხელშეკრულების პირობები. ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გრიგოლ [redacted] არ ყოფილა ინფორმირებული საკრედიტო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე, რაც სადვოდ არ გამხდარა დავის საარბიტრაჟო წესით განხილვისას და რასაც ასევე ცხადჰყოფს ამ ხელშეკრულებაზე საჩივრის ავტორის ხელმოწერის არარსებობა. იმ პირობებში, როდესაც თავდების აუცილებელი ინფორმირებულობისა და ჩართულობის გარეშე ხდება ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე სხვა ხელშეკრულებების გაფორმება, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველი, რომლის თანახმადაც ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუკი 2018 წლის 23 აგვისტოს რესტურუქტურიზაციის შესახებ DLE18016679 ხელშეკრულება არ იქნებოდა მიჩნეული პალატის მიერ ახალ ხელშეკრულებად, მაინც იარსებებდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თავდები არ იყო გაფრთხილებული იმ ფაქტზე, რომ ძირითადი მოვალე კრედიტორთან დებდა ახალ ხელშეკრულებას, რომლის უზრუნველყოფაც უნდა განხორციელებულიყო მისი თავდებობის ქვეშ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს თავდები პირის უფლებების უპირობო დარღვევას.

ამდენად, პალატა ადგენს, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი თავდები პირის - გრიგოლ [redacted] ნაწილში, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

დადგენილია, რომ გრიგოლ [redacted] მიერ სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვისთვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 150 ლარი, რისი გადახდაც ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოწინააღმდეგე

მხარეს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გრიგოლ [redacted] საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას“ 2019 წლის 22 აგვისტოს N001/54-19 გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც:

2.1. გრიგოლ [redacted] ერთად, სს ,,მისო ევრო კრედიტის“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა სესხის ძირი თანხის - 13 865 ლარის, სესხზე დარიცხული სარგებლის - 1796.28 ლარის, პირგასამტეხლოს - 535.60 ლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხის - 366.78 ლარის გადახდა;

2.2. გრიგოლ [redacted] პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 40 500 (ორმოცი ათას ხუთასი ლარი) ლარით;

3. სს ,,მისო ევრო კრედიტს“ დაეკისროს გრიგოლ [redacted] მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის გადახდა;

4. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე გელა ბადრიაშვილი

მოსამართლეები: ანა გოგიშვილი

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
ხელმოწერა:
27 02 2020 წ.

ხათუნა არევაძე